



MES 3 20 0000554237



03/07/2020

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 19.06.2020

სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:46სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული

სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სხდომაზე დამსწრე მოწვეული საბჭოს წევრები

1. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
2. **მაია გოგაშვილი** - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პროფესორი;
3. **ლელა მასხულია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
4. **ირმა ბურდულაძე** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ლიცენზიებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
5. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
6. **ნინო ჩიხლაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ეკატერინე ადამია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
8. **ნინო ნანავა** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი

1	თემურ ხუროძე	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	კანცლერი	I
2	ეკა ჯაფარიძე	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი	I
3	დათო გიორგაძე	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	მედიცინის სკოლის დეკანის თანაშემწე	I
4	ავთანდილ გაგნიძე	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
5	შალვა პეტრიაშვილი	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I
6	ნინო შარაშენიძე	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	მედიცინის სკოლის დეკანი	I
7	გიორგი წილოსანი	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
8	მიხეილ თუთბერიძე	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი	I
9	ნია თაბაგარი	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის შემუშავების ჯგუფის კონსულტანტი	I
10	ჰამლეტ ისახანლი	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	დამფუძნებელი	I

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ივანა ობორნა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის "ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1.პირველი საკითხი: შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
11	განხორციელების ადგილი	-
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაწილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინათ და წარმოეჩინათ ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ივანა ობორნამ თავდაპირველად ისაუბრა პროგრამასთან დაკავშირებით ზოგადად და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დაფუძნდა 2017 წელს და ავტორიზაცია მიენიჭა 2019 წელს. ამჟამად აქვს ერთი ფაკულტეტი - მედიცინის სკოლა და ამ ეტაპზე სასწავლო პროგრამა არ ხორციელდება. უნივერსიტეტს აქვს თავისი კუთვნილი ქონება და აღჭურვილობა.

აღნიშნულ სამედიცინო პროგრამას აქვს ამბიცია, რომ მიიღოს 150 სტუდენტი ყოველ წელს და გეგმავს ექვსი წლის პერიოდში სტუდენტთა რაოდენობის გაზრდას დაახლოებით 900 სტუდენტამდე. პროგრამა არის ინტეგრირებული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, საქართველოში 31 მსგავსი პროგრამა ხორციელდება, რომლებსაც ჯამში დაახლოებით 5000 სტუდენტი ჰყავს. ევროპული ქვეყნების უმრავლესობის შემთხვევაში კი ეს რიცხვი 1 მილიონ მოსახლეზე 100-150 სტუდენტზე მერყეობს. შესაბამისად, საქართველოში ეს რაოდენობა მისი მოსაზრებით, მნიშვნელოვნად დიდია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მოკლედ ისაუბრა ვიზიტზე და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი დაიწყო დილით, როდესაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ესტუმრა სამედიცინო დაწესებულებას და გაგრძელდა შუადღემდე. ვიზიტის მეორე დღე დაეთმო დაწესებულების მენეჯმენტთან და დასაქმებულებთან შეხვედრას.

ექსპერტებმა თითქმის ყველა დოკუმენტაცია მიიღეს, რაც იყო მოთხოვნილი, გარდა ერთისა - მოწოდებული უნდა ყოფილიყო ინფორმაცია სრული განაკვეთის ექვივალენტის (FTEs) შესაბამისად და დასაბუთებული უნდა ყოფილიყო პერსონალის სამუშაო დატვირთვის პროცენტულობა დაწესებულებაში. ეს ინფორმაცია არ იქნა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ განმეორებითი მოთხოვნა გაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საშუალებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიმოიხილა სტანდარტები და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ასევე აღნიშნა, რომ ძირითადი მიზეზი, პრობლემური საკითხი იყოს ის, რომ უნივერსიტეტი სათანადო გამოცდილების გარეშე გეგმავს განახორციელოს სამედიცინო მიმართულების პროგრამა და ამავე დროს, უნივერსიტეტი არაა მზად მართოს ეს პროგრამა. საერთაშორისო ექსპერტის თქმით პროგრამის მიზნები არ არის მიღწევადი; არსებობს ადამიანური რესურსის პრობლემა, ლაბორატორიული სამუშაო გამოტოვებულია და მნიშვნელოვანი ხარვეზებია სწავლების მეთოდებთან მიმართებით. შესაბამისად, აკრედიტაციის მეორე და მეოთხე სტანდარტი არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. დასკვნაში

მითითებულია საკმაოდ დიდი სია რეკომენდაციებისა, თუმცა თვითონ მიმოიხილავს ძირითად პრობლემებს, რაც პროგრამაში დაინახა.

2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს, ექსპერტმა აღინიშნა, რომ წერილობითი დოკუმენტები რეალობას უნდა ასახავდეს. განსაზღვრული უნდა იყოს მთელი წლის პროგრამის დეტალური გრაფიკი, მათ შორის, მასწავლებლ(ებ)ის სახელ(ებ)ი, თითოეული ჯგუფის მოცულობა, დრო და ადგილი, სადაც განხორციელდება კონკრეტული სწავლება და სადაც დაიშვება ნებისმიერი სტუდენტი.

ექსპერტმა აღინიშნა, რომ მოახდინა სასწავლო კურსის „კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლების“ სილაბუსის სიღრმისეული ანალიზი, და აღნიშნა, რომ სტუდენტთა დატვირთვა სილაბუსის მიხედვით გაანგარიშებულია 60 საათზე (ლექცია – 6 საათი, პრაქტიკული სამუშაო – 24, დამოუკიდებელი მუშაობა – 28, დასკვნითი გამოცდა -2). როდესაც კურსის შინაარსი შეფასდა, აღმოჩნდა, რომ ლექციებისთვის განსაზღვრული იყო 5 საათი, ხოლო პრაქტიკული მუშაობისთვის კი - 20 საათი (აქედან 10 - კლინიკურ გარემოში). როდესაც მოხდა ცხრილის განხილვა როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან, ისე ლექტორებთან ინტერვიუების დროს, გაირკვა, რომ დაგეგმილი იყო 10 საათი ლექციებისთვის და 30 საათი - პრაქტიკული სამუშაოსთვის. ამავე დროს, ლექციების ათი საათი ჩატარდება ორშაბათს ყველა სტუდენტთან, რომლებიც ორად იქნებიან გაყოფილი. კვირის სხვა დღეებში დაგეგმილია პრაქტიკული სამუშაო ჯგუფებში. პრაქტიკული მუშაობისთვის სტუდენტები იყოფიან 6 ჯგუფად, თითოეულში 25 სტუდენტია. თითოეული ჯგუფისთვის გამოყოფილია ექვსი 5-საათიანი დროის ბლოკი. ორშაბათის გარდა, ყოველდღე პარალელურად დაგეგმილია პრაქტიკული მუშაობის ოთხი ბლოკი (9-დან 14-მდე და 14-დან 19-მდე), ხოლო ორი ბლოკი ტარდება შაბათს. ამ საგნის ყველა ნაწილის სწავლების გარემოდ განსაზღვრულია ლექციების დარბაზი და პატარა ოთახები აღმაშენებლის ქუჩაზე. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, პრაქტიკული სამუშაოს 24 საათიდან 10 საათი კლინიკურ სამუშაოს ეთმობა. 25 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფებში მხოლოდ თეორიული სწავლება ჩატარდება. 150 სტუდენტის სწავლების ამ ორი კვირისთვის დანიშნულია მხოლოდ ორი მოწვეული პედაგოგი, ხოლო მეორე - კლინიკაში სრულ განაკვეთზე მომუშავე ექიმი, რომელიც ასევე ჩართულია სხვა სამი საგნის სწავლებაში.

ასევე ირკვევა, რომ ცხრილიდან გამომდინარე ზოგიერთ საგანზე პრაქტიკული სწავლება გულისხმობს მხოლოდ დისკუსიას, რაც ნამდვილად არაა საკმარისი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუების დროს პრობლემები გამოიკვეთა ლიტერატურასთან დაკავშირებითაც. კერძოდ არ არის შესაბამისი რაოდენობის ბეჭდური ვერსიები. ითქვა, რომ საჭირო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული, ონლაინ-ვერსიების სახით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სტუდენტებს არ შეუძლიათ ჩამოტვირთონ სახელმძღვანელო, ამავე დროს შეუძლიათ ყოველდღე ამოებეჭდონ მაქსიმუმ 20 გვერდი. რამდენადაც მთელს უნივერსიტეტში მხოლოდ 4 პრინტერია ხელმისაწვდომი და მათგან მხოლოდ ერთია ბიბლიოთეკაში, ყველა სტუდენტისათვის ვერ მოხდება სასწავლო მასალებზე საკმარისი და თანასწორი წვდომის უზრუნველყოფა. უფრო მეტიც, ხელშეკრულება ელექტრონული წიგნებისა და მონაცემთა ბაზების შესახებ ფორმდება მხოლოდ თვეში ერთხელ.

2.4 სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სილაბუსში ნახსენებია პრაქტიკული უნარები, თუმცა გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ პრაქტიკული მუშაობა ძირითადად დისკუსიებს გულისხმობს. რამდენადაც სასწავლო გეგმა ინტეგრირებულია, პაციენტთან ნაადრევი კონტაქტის მოლოდინი არსებობს. თუმცა, როგორც გასაუბრების დროს გამოვლინდა, პაციენტთან რეალური კონტაქტი არ არის დაგეგმილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნახსენებია პროგრამაში/კურსში.

მოდულის მიზანია შეასწავლოს მეტაბოლიზმი, მეტაბოლური გზები და ორგანიზაციული პრინციპები, სტრუქტურული ორგანიზაცია და მათი ფუნქციონირება. დამატებით ის ამოწმებს უჯრედის მორფოლოგიურ მახასიათებლებს (ეპითელიუმი და დამაკავშირებელი უჯრედი), როგორც მათი ნორმალური ფუნქციონირების ფუნდამენტს და უკავშირდება კვლევის მეთოდებს

გამოყენებით მიკროსკოპიულ ანატომიაში. უნარების გარდა ჩამოთვლილია, რომ სტუდენტს შეეძლება:

- მოამზადოს ჰისტოლოგიური ნიმუში
- ჰისტოლოგიური კვლევის ტექნიკის გამოყენება ნიმუშების მეშვეობით
- სხვადასხვა ტიპის სისხლის უჯრედების იდენტიფიცირება
- ელექტრონული მიკროგრაფიის გამოკვლევა და ინტერპრეტაცია

ასეთი უნარები მოითხოვს ლაბორატორიულ მუშაობას სათანადოდ აღჭურვილ ლაბორატორიაში. დაწესებულება ფლობს 6 მიკროსკოპს, ერთ ჯგუფში დაგეგმილი სტუდენტების რაოდენობა კი 25-ია. ზემოთ მოყვანილი აღწერილობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სწავლის და სწავლების მეთოდები არ შეესაბამება სტუდენტის სწავლის შედეგებს და არ არის მიღწევადი.

2.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით განიმარტა, რომ დოკუმენტები უნდა ასახავდეს რეალობას. ინტერვიუს დროს შეფასების სისტემასთან დაკავშირებით არ გამოჩნდა, როგორ ხდება შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ 4.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აფილირებული პერსონალი უნდა იყოს მითითებული შესაბამის მონაცემთა ბაზაში, რომელიც წარმოადგენს განახლებული ინფორმაციის რელევანტურ წყაროს.

თვითშეფასების ანგარიშში ნახსენებია 20 აკადემიური (13 აფილირებული და 7 არააფილირებული) და 57 მოწვეული პერსონალი (1.0:2.8 თანაფარდობით). რეზიუმეების მიხედვით, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება თანამდებობებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, ბევრ რეზიუმეში არ არის ნახსენები აფილირება დაწესებულებასთან.

მონაცემთა ბაზის მიხედვით, დაწესებულებას ჰყავს ერთი აფილირებული პროფესორი, რომელიც IT სპეციალისტია. 13 აფილირებული პერსონალიდან, 8 აკადემიურ პერსონალზე ინფორმაცია ვერ მოიძიეს დანარჩენი ხუთიდან კი სამი მოწვეული მასწავლებელია და ორი კი სხვა სამედიცინო პროგრამებთან არიან დაკავშირებული. რაც შეეხება 7 არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს - ხუთი ასოცირებულია სხვა სამედიცინო პროგრამებთან, ხოლო დანარჩენ ორზე ინფორმაცია ვერ მოიძებნა, რაც მიუღებელია.

4.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაცია ეხებოდა სამეცნიერო სტატიებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით ბოლო 5 წლის განმავლობაში 137 სტატია გამოქვეყნდა საერთაშორისო ჟურნალებში, 94 - ადგილობრივ ჟურნალებში. გაჩნდა კითხვა აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულებისადმი ნაშრომების მიწერის/მიკუთვნების შესახებ. დადასტურდა, რომ დასახელებული ნამუშევრებიდან არცერთი არ იყო მიწერილი/მიკუთვნებული აკრედიტაციის მაძიებლისთვის. ეს ნიშნავს, რომ ეს ნამუშევრები უამრავ სხვა სააკრედიტაციო განაცხადში იქნება ნახსენები, რადგან ერთი და იგივე პერსონალი შეინიშნება რამდენიმე პროგრამაში.

4.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პრობლემა ასევე საკითხის მტკიცებულებებით დადასტურებაა. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებას, მაგრამ უნივერსიტეტის არსებობის განმავლობაში არაფერი გამოქვეყნებულა ამ დაწესებულების სახელით, შესაბამისად, ზემოხსენებული განაცხადების მტკიცებულებაც არ არსებობს. ასევე პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი.

რაც შეეხება რესურსს კვლევისათვის ან მისი სწავლებისათვის - ერთი ოთახი არის გამოყოფილი პრეკლინიკურ საგნებზე, 5 მიკროსკოპი დაწესებულებას მიღებული აქვს დონაციით ერთ-ერთი კერძო სკოლიდან, ეს რესურსი შეიძლება, კარგია ბიოლოგიის სწავლებისათვის სკოლაში, მაგრამ - მედიცინის სწავლებისთვის - არარელევანტურია.

უნივერსიტეტს სჭირდება, რომ ჩამოაყალიბოს ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და რეალური პროცესების განხორციელება თანმიმდევრულად უნდა შეესაბამებოდეს იმ სისტემების აღწერას, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის რეგულირებას.

ასევე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაში არ აღინიშნება პროგრესის რაიმე მტკიცებულება და მისი ხედვით, დაწესებულება არ არის მზად, მართოს ეს პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ ექსპერტების შეფასებას და დააფიქსირეს მათი პასუხები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი მართლაც მიუთითებდა, რომ პირველ წელს ის აპირებდა 150 სტუდენტის მიღებას, მაგრამ ასევე განმარტავდა, რომ მათ ჰქონდათ უფლება ჰყოლოდათ 600 სტუდენტი და არა 900 (ექსპერტების მხრიდან საიდან არის ეს რიცხვი განსაზღვრული, გაურკვეველია).

სამეცნიერო ნაშრომებზე მათ თვითშეფასების ანგარიშში გარკვევით ეწერათ, რომ უნივერსიტეტი არ შექმნილა 3 წლის წინ, არამედ კომპანია დაარსდა, ხოლო უნივერსიტეტმა ავტორიზაცია მიიღო 2019 წლის ივნისში. იმ დროისთვის, როდესაც ვიზიტი შედგა, უნივერსიტეტი იყო სულ 6 თვის ჩამოყალიბებული. მათ გარკვევით ეწერათ, რომ ნაშრომები წარმოდგენილი ჰქონდათ მათი შესაძლებლობების საჩვენებლად და მათ არ ჰქონდათ მითითებული, რომ ეს ნაშრომები უნივერსიტეტს ეკუთვნოდა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მომავალში მათ ექნებოდათ ნაშრომები, რომლებიც უშუალოდ უნივერსიტეტთან იქნებოდა დაკავშირებული. ის, რომ ექსპერტებმა თანამშრომლები ვერ ნახეს ბაზებში, გამოწვეულია იმით, რომ მათ ბაზასთან წვდომა გაეხსნათ 20 თებერვალს, თანამშრომლები არ იყვნენ წარმოდგენილი, ეს ლოგიკურად ვერც მოხდებოდა. ამიტომ იყო მითითებული მხოლოდ IT-ის სპეციალისტი.

ბევრი სამედიცინო პროფილის სტუდენტი დასახელდა ექსპერტების მხრიდან საქართველოსთვის, მაშინ სხვა სტატისტიკასაც გადახედონ, რომელიც გვიჩვენებს, რომ სამედიცინო კურსდამთავრებულები გაცილებით კარგად აზარებენ საკვალიფიკაციო გამოცდას. ანუ სხვა სტატისტიკასაც უნდა გადაეხედათ ექსპერტებს. მათ არ ჰყავდათ სტუდენტები და აქედან გამომდინარე, ვერ ექნებოდათ ძალიან ბევრი მტკიცებულება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ნამდვილად ჰქონდათ ტექნიკური შეცდომა ორი უცხოელის შეფასებასთან დაკავშირებით, რადგან ის იყო ერთი შეფასება ორი პირის მიერ გაკეთებული, რომლებიც ცალ-ცალკე იყო გამოგზავნილი და ამის შესახებ ექსპერტების ინფორმირება დაწესებულებას დაავიწყდა.

დასაქმებული პერსონალის დატვირთვისთან დაკავშირებით, დაწესებულება ვერ წარმოადგენდა მათი დატვირთვის შესახებ ცნობას, რადგან დაწესებულება პროგრამის განხორციელებას მომავალი წლის ოქტომბრიდან აპირებდა და წინასწარ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ვერ გაიცემოდა. უკლებლივ ყველა მასწავლებელმა დაადასტურა და პირდაპირ თქვა, რომ მათთვის ეს უნივერსიტეტი არის პრიორიტეტული და როდესაც ეს უნივერსიტეტი სწავლას დაიწყებს, პრიორიტეტი იქნება. ასეთი ფაქტების უგულებელყოფა რატომ ხდება, მათთვის გაუგებარია.

დაწესებულების თქმით, მათ 6 დიდი მიკროსკოპი აქვთ მხოლოდ და რატომღაც ავიწყდებათ, რომ 12 პატარა ციფრული მიკროსკოპი ჰქონდათ, რომელიც უერთებოდა სმარტფონს და მისი ეკრანზე გატანაც შეიძლებოდა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აღნიშნული აჩუქა საშუალო სკოლამ, ეს მასეა, მაგრამ ეს არ არის გასარჩევი საკითხი. იმ სკოლის დირექტორის მოადგილე იყო და რეორგანიზაცია მიმდინარეობდა და თავიდანვე დაიგეგმა ფასდაკლებების გაკეთება. ამაში ცუდი რა არის, როცა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან დონაციით იღებენ რესურსებს.

ანონიმურობასთან დაკავშირებით მისთვის გაუგებარი დარჩა ეს კითხვა, ბევრი ფორმებია წარმოდგენილი, ისინი ანონიმურია, რატომ დგება საერთოდ აღნიშნული საკითხი. მხოლოდ დარგის ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება ეს არ იყო ანონიმური დანარჩენი ყველა ანონიმურია. ნათქვამი იყო, რამდენად შესაძლებელია ამდენი ინფორმაციის გადამუშავება თუ ნამდვილად აინტერესებდათ აღნიშნული თუ რატომ არ მიაქციეს ყურადღება იმ კვლევას, რომელიც მოცულობითი კვლევა იყო და პროგრამის განვითარებას შეეხებოდა და მისი დამუშავება მოხდა ძალიან მცირე დროში.

ექსპერტების ჩანაწერთან დაკავშირებით, რომ დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს არ გამოიკვეთა მათი აქტიური ჩართულობა პროგრამი შემუშავების პროცესში, ამაზე

დაწესებულებამ უპასუხა, რომ რადგან პროგრამაზე სტუდენტები არ იყვნენ და პროგრამა არ იყო ამოქმედებული, დამსაქმებლები იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები.

დაწესებულება ნამდვილად ახორციელებდა იმას, რაც რეკომენდაციებიში ეწერა და მათთვის გაუგებარი იყო, რატომ უწერდნენ ექსპერტები ამგვარ რეკომენდაციებს.

მაგალითად ოსკის ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით, დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა დებულება, სქემები, სად და როგორ იქნებოდა განლაგებული, სად გაივლიდნენ სტუდენტები ტრენინგებს, მათ სპეციალური 8 ოთახი ჰქონდათ ამისთვის და ისინი ისედაც აპირებდნენ ამ ყოველივეს განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ინტერნაციონალიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებით ძალიან კარგი რჩევა ჰქონდათ ექსპერტებს, მაგრამ ელემენტარულია - თუ კარგად მოხდებოდა პროგრამის შესწავლა, იქ აღნიშნულია, რომ დაწესებულების პრიორიტეტია ინტერნაციონალიზაციის განვითარება და ამასთან დაკავშირებით ბატონი ჰამლეტი, რომელიც არის დაწესებულების ერთ-ერთი დამფუძნებელი ისაუბრებდა ამ საკითხზე უფრო ვრცლად.

დაწესებულების დამფუძნებელმა ჰამლეტ ისახანლიმ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს, განმარტა, რომ ის დაიბადა საქართველოში და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაუდასტურა მისი კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ.

დაწესებულების დამფუძნებლის განმარტებით, მან პირველი უნივერსიტეტი დააარსა აზერბაიჯანში. ეს უნივერსიტეტი გამოირჩევა რეიტინგულობით, რაც შეიძლება, რომ გადამოწმდეს ინტერესის არსებობის შემთხვევაში. ის არის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტად მიჩნეული ახალ უნივერსიტეტებს შორის. ამავე დროს, ახსოვს, როგორ დაიწყო ეს საკითხი ამ აზერბაიჯანული უნივერსიტეტის შემთხვევაში: ნაკლებად იყვნენ მზად, როცა პრემიერ-მინისტრმა მიიწვია და შესთავაზა უნივერსიტეტის დაფუძნება, რადგან იგი ცნობილი იყო კანადაში, ასევე ამერიკაში. გზად ბევრი საინტერესო გამოწვევა ჰქონდათ, მაგრამ ეს ყველაფერი დაიდგა.

ჰამლეტ ისახანლის თქმით აზერბაიჯანში იყო 2 მედიცინის სკოლა. შესაბამისად, მათი გათვალი იყო, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში, საქართველოსთან ახლომდებარე რეგიონებიდან საქართველოში ჩამოაყვანათ აზერბაიჯანელი სტუდენტები და ამ უნივერსიტეტში შეეთავაზებინათ მათთვის მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა.

დაწესებულების დამფუძნებლის თქმით, მათ აქვთ სოკართან წინასწარი შეთანხმება სტუდენტების სტიპენდიასთან დაკავშირებით. სტუდენტების მიღება, როცა ნახსენებია 150 სტუდენტი, არ ნიშნავს აუცილებლად ამდენს და შეიძლება, გულისხმობდეს 120 სტუდენტსაც. მათ ექნებათ გამოცდა და სტუდენტად გახდომა მარტივად არ იქნება შესაძლებელი - გარკვეულ ბარიერებთან იქნება დაკავშირებული.

ლექტორებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნებიან საუკეთესო ლექტორები არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც, მათ შორის, აზერბაიჯანიდან, ასევე, თურქული უნივერსიტეტებიდან: ანკარიდან, სტამბულიდან.

სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებლის თქმით, აკრედიტაციამდე ვერ აქვეყნებენ სტატიებს და აკრედიტაციის შემდეგ იგეგმება ყველაფრის გაუმჯობესება ამ კუთხითაც. სწორედ აკრედიტაცია ჭირდებათ, რომ ინვესტიციები იყოს უფრო აქტიური, მათ შორის ბიბლიოთეკასთან მიმართებითაც (ნახევარი მილიონი ლარის არის ბიბლიოთეკა). გამოცდილებასთან ერთად კი ეს ყველაფერი კიდევ უფრო დაიხვეწება.

ჰამლეტ ისახანლიმ აღნიშნა, რომ იგი სხვა ორ დამფუძნებელთან ერთად მოწოდებულია, რომ განახორციელოს ინვესტიცია და განავითაროს კარგი სკოლა ყველა საჭირო პროცესით. ეს არის გრძელი პროცესი და ითხოვს ნდობას. დღეისათვის იგი ორ უმაღლეს სასწავლებელში ახორციელებს ინვესტიციას მარნეულსა და გარდაბანში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ აჯობებდა, ისევ აზერბაიჯანში მომხდარიყო უნივერსიტეტის დაფუძნება და პროგრამის განხორციელება, რადგან იქ უკვე აქვთ შესაბამისი გამოცდილება უნივერსიტეტის მართვის. ასევე მისი ინფორმაციით ქართული ენა და აზერბაიჯანული მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და თუ სტუდენტების

უმრავლესობა საქართველოში დაფუძნებულ უნივერსიტეტში უცხო ქვეყნებიდან და უმეტესად აზერბაიჯანიდან უნდა მოვიდნენ, შეიძლება, უფრო გონივრული იყოს, რომ აზერბაიჯანში გაფართოვდეს უნივერსიტეტი და იქვე მოხდეს ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემისთვის ექიმების მომზადება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით ამ უნივერსიტეტში არსებობს ენის დიდი ბარიერი, დასაქმებულების მცირე ნაწილი ლაპარაკობს კარგად ინგლისურად, მაგრამ უმრავლესობას არ ესმის და ენის პრობლემა აქვს, რაც დადასტურდა მათთან ინტერვიურებისას. მისი აზრით, სტიპენდიების მოძიება სტუდენტებისთვის იყო კარგი, მაგრამ დაწესებულება არ იყო მზად მედიცინის პროგრამის განხორციელებისათვის. ექსპერტის შეხედულებით შესაძლოა ასე მომზადებული დაწესებულება მზად იყოს მათემატიკის სწავლებისთვის, სადაც ძირითადად გჭირდება დაფა და კვალიფიციური პერსონალი, მაგრამ მედიცინის სწავლებას პრაქტიკული ნაწილით დატვირთვა და შესაბამისი სპეციალური აღჭურვილობა სჭირდება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაში განუხორციელებია მსგავსი საქმიანობა - მედიცინის პროგრამებისა და სამედიცინო სკოლების შეფასება, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს პროგრამა მისთვის ყველაზე ცუდი გამოცდილება იყო. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი აზრი საბჭოს წინაშე, რომ ეს პროგრამა არ იყო მზად განხორციელებისთვის. ინტერვიურების დროს, დაწესებულების პერსონალის მიერ ვერ ხდებოდა დოკუმენტურად გაწერილი პროცესების აღწერა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რომ აკრედიტაციის მაძიებელს ჰქონდა სრულად გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რაც დაკავშირებული ქვეყანაში მედიცინის პროგრამის სათანადო დონეზე განხორციელებასთან. ექსპერტებს რაც ევალებოდათ გააკეთეს და აღწერეს ის რეალობა, რაც მათ დახვდათ ვიზიტზე.

დაწესებულების დამფუძნებელმა კვლავ აღნიშნა, რომ მოიწვევენ საუკეთესო ლექტორებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, მათ ჰყავთ ძალიან ბევრი საერთაშორისო პარტნიორი ევროპაში, ჩინეთში, ისინი მზად არიან პროგრამაში ჩასართავად და აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პრობლემა ისაა, რომ პროგრამა ამჟამად არაა მზად განხორციელებისთვის - ის ახლა უნდა იყოს შესაბამისობაში არსებულ წესებთან და სტანდარტებთან.

დაწესებულების დამფუძნებელმა კვლავ აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი შეცვლადი და განვითარებადია და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კვლავ უპასუხა, რომ აკრედიტაციის პროცესში ახლანდელ, არსებულ მდგომარეობას აფასებენ და არა სამომავლო პერსპექტივებს. შესაბამისად, სწორედ ახლანდელი მდგომარეობით უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსზე პროგრამის ხელმძღვანელები უპასუხებდნენ. მათ მოკლე შეფასება გააკეთეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის კომენტართან დაკავშირებით, რომ დამფუძნებლის გადასაწყვეტია, სად დაარსებს და როგორ დაარსებს უნივერსიტეტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნია თაბაგარმა განმარტა, რომ ანგარიშიდან ირკვეოდა ორი მთავარი საკითხი, მისი თქმით, ექსპერტს მიაჩნდა, რომ პროგრამა არ იყო მზად განხორციელებისთვის. სინამდვილეში კი საუბარი იყო ხალხის მზაობაზე, ადამიანის რესურსების მუშაობაზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემა იყო. მას არამარტო ამ პროგრამის შემუშავებაში მიუღია მონაწილეობა, არამედ სხვა სამი პროგრამის შემუშავებაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. საუბარი, რომლითაც შეხვედრა დაიწყო ეს უცნაური შესავალი, ძირითადად, მისთვის, როგორც არაა უნივერსიტეტის, არამედ მის ქვეყანასთან და სამედიცინო განათლებასთან აფილირებულ ადამიანისთვის, ცოტათი უცნაურად ეჩვენა. რამდენი სტუდენტი იყო, რამდენი უცხოელი სტუდენტი იყო, რამდენი პროგრამა ფუნქციონირებდა, მისი თქმით, საკითხი არ მდგომარეობდა პროგრამის რაოდენობაში, საქმე იყო იმაში, თუ სამედიცინო განათლებაში რამდენი ერთგული ჯგუფი გამოჩნდებოდა და ახლის და ინოვაციური შეთავაზება შეეძლო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ სივრცისთვის. ეს უცნაური შესავალი მას აძლევდა იმის ვალდებულებას, რომ საბჭოს იმ წევრებს, რომლებსაც სჭირდებოდათ განმარტება,

თუ რატომ დათანხმდა ის ამ პროგრამაში მონაწილეობას, ჰქონდა თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. სუბიექტური მიზეზები ბევრი იყო, მაგრამ მხოლოდ ორს ჩამოთვლიდა. პირველი - ეს იყო მისი რწმენა, რომ ზოგადად უნივერსიტეტების აკადემიური საზოგადოება უნდა განვითარებულიყო ურთიერთდახმარების და ურთიერთხელშეწყობის რეჟიმში და მეორე, მის კოლეგებს, ვისაც სამედიცინო უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული საქართველოში, კარგად იცოდნენ, რის ბაზაზე ფუძნდებოდა ეს უნივერსიტეტი - ეს იყო ალადაშვილის სახელობის კლინიკა და და ბალნეოლოგიური კურორტი, რომელიც ერთადერთი და უპირველესია და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონალური ცნობადობის გაზრდის თვალსაზრისით საქართველოსთვის. ამ კედლებში გაიზარდა თითქმის ყველა ექიმი. მისთვის კარგად იყო ცნობილი ამ უნივერსიტეტის პოტენციალი, ასევე სხვა საავადმყოფოების პოტენციალი, რომლის წიაღშიც ხდებოდა ამ უნივერსიტეტის სამედიცინო პროგრამის დაფუძნება. რაც შეეხება ობიექტურ მიზეზებს, ეს იყო დახმარების შესაძლებლობა: მათ ჰქონდათ შესაძლებლობა და ცოდნა-გამოცდილება სამედიცინო განათლებაში, ასევე მინიჭებული ჰქონდათ აკადემიური თავისუფლება, რომ დახმარებოდნენ სხვა ინსტიტუციებს; ვალდებულება, რომელიც აიღეს მის საკუთარ უნივერსიტეტში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელებისას. მისი თქმით, აქ ასევე იყო „ანგარების“ გარკვეული მომენტიც, რომ გარკვეული სარგებელი ჰქონოდა მის საკუთარ უნივერსიტეტს და სამედიცინო განათლების ცენტრსაც. იქ მუშაობდნენ ახალგაზრდა, საინტერესო და პერსპექტიული კადრები და ეს იყო მათთვის კიდევ ერთი შანსი ამ ინსტიტუციასთან თანამშრომლობისა და გამოცდილების მიღებისა.

ის ვერ მიიღებდა საყვედურს, რომელიც გაჟღერებული იყო წერილობით დოკუმენტში. მისი თქმით, ახალშექმნილ უნივერსიტეტს ედავებოდნენ იმას, რაც საინტერესო და განსხვავებულია და უწყუნებდნენ ცოდნის შეგროვებას - ცოდნას სხვა უნივერსიტეტებში აგროვებსო. რა არის ამასი დასაძრახი, რომ უნივერსიტეტები ერთმანეთთან აზიარებდნენ ცოდნას და ეს ცოდნა გროვდებოდა. არის უამრავი საერთაშორისო ქსელი და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული არის ჩეხების და სლოვაკების მაგალითი. ეს არის ის ოცნება და მცდელობა, რომ ერთიანი სისტემა შეიქმნას და უნივერსიტეტებმა ისევ ითანამშრომლონ ერთმანეთთან. პროგრამასთან დაკავშირებით კი სურს, თქვას, რომ რა რესურსს შეიძენს და დაიმატებს უნივერსიტეტი, ჯერ უცნობია, დაწესებულებას სჭირდება, რომ ენდონ, მიიღოს სტუდენტები და შემდეგ პროგრამა თანდათან გაუმჯობესდება. საკითხი არ ეხება იმას, თუ როგორ არის მოდულებად სტრუქტურირებული პროგრამა, ძალიან საინტერესო სხვა რამეა - ყველა სამეცნიერო ლიტერატურა, რაც უნახავს, ადასტურებს, რომ ამ პროცესში ერთნაირად ჩართული ვერ და არც უნდა იყოს ყველა პერსონალი. ამას არ უარყოფს ანგარიშში აღნიშნული მე-4 პუნქტიც ჰარდენის წიგნში 33-ე გვერდზე, სადაც ინტეგრირებულ კურიკულუმებს აღწერს. ეს ინტეგრირებული პროგრამა მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას - ის უნდა იყოს ცენტრალიზებურად შემუშავებული და ნამართი, დეპარტამენტული მიდგომისგან რომ განთავისუფლდეს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში პროგრამა ასე განვითარდება. მაგრამ, სანამ ადამიანი ამას თვითონ არ განახორციელებს და განხორციელების პროცესში არ ეყოლება აუდიტორია, შემდეგ ნახავს მიზნები მიღწევადი იქნება თუ არა და რამე სხვა თუ არის საჭირო. უკუკავშირი მხოლოდ სტუდენტს არ სჭირდება - უკუკავშირი ხომ ლექტორსაც სჭირდება. მაგალითად, ინგლისში არის პრაქტიკა, რომ იღებენ უფლებამოსილებას და შემდეგ მონიტორინგს გადიან. სახელმწიფომ ახალ ხალხს საინტერესო პროგრამებით ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა უნდა მისცეს, რომ გარემო გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი. სტუდენტი თუ არ ჰყავს ვისზე უნდა ჩაატაროს, ოსკი, მაგალითად. საკითხი არაა მიკროსკოპებში, მაგალითად, არ მაქვს მიკროსკოპი - ვიყიდე და მორჩა. რთული აქ არის ადამიანური რესურსების განვითარება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ დრომდე საუბარი დაკავშირებული იყო ძირითადად ინფრასტრუქტურასთან და კარგი იქნებოდა, დასკვნაში აღნიშულ სხვა საკითხებსაც, განსაკუთრებით პროგრამის შინაარსაც შეხებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები.

დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ როცა საუბარი იმაზეა, რომ ქირურგიაში პრაქტიკული ნაწილი არ ფასდება, უნდა გადაეხედათ სილაბუსისთვის, სადაც აღნიშნულია, რომ ფასდება ე.წ. log-book, რაც პრაქტიკულ ნაწილს გულისხმობს. კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლებთან დაკავშირებით როცა აღნიშნულია, რომ ორ პედაგოგს გაუჭირდება ჩატარება, უნდა აღინიშნოს, რომ აქ სამი პედაგოგია, ეს კურსი იწყება მე-10 კვირაში და მე-20 კვირაში მთავრდება. აქედან გამომდინარე, არ არის ასეთი პრობლემატური. იმის, თქმა, რომ ეს ორი პედაგოგი იქნება გადატვირთული, გაზვიადებულია - სამნი არიან და კურსი არის 10 კვირაზე გადანაწილებული. დაწესებულების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, მაინც შეძლო ჩართვა, მაღლობა გადაუხადა ესპერტებს გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის. მან აღნიშნა, რომ აღწერილი სწავლის მოსალოდნელი შედეგები სრულ თანხვედრაშია და ყოველთვის ცდილობენ, რომ ევროპის რეგულაციებთან და, ზოგადად, სფეროში არსებულ რეგულაციებთან თანხვედრაში იყოს. როცა წერია, რომ შედეგი მულწვეველია, აღსანიშნავია, რომ სტუდენტები ჯერ არ ჰყოლიათ. ბალნეოლოგიურ კურორტზე კარგი ლაბორატორიული მომსახურებაა და ჩვეულებრივი მიკროსკოპული მანიპულაციის დროს შეუძლიათ ნახონ ეს მიკროსკოპები. ბევრი ინოვაციური მიდგომები აქვთ. ეს დასკვნები გადააგზავნა მისურის შტატის უნივერსიტეტში და ყველამ ძალიან მოიწონა და მზად არიან თანამშრომლობისთვის. ინოვაციური პროგრამაა და დიდი მხარდაჭერები აქვთ ამერიკის გარკვეული უნივერსიტეტებისგან.

საბჭოს წევრმა ეკა ეკალაძემ მაღლობა გადაუხადა ესპერტებს და დაწესებულებას მიმართა. მან აღნიშნა, რომ ნამდვილად დიდი შრომაა ჩადებული პროგრამის ასეთი სახით წარმოდგენისთვის. პროგრამაში უწერიათ, რომ სტუდენტის შეფასებისთვის იყენებენ ე.წ. log-book-სა და პორტფოლიოს. რამდენად ნახეს ეს „ლოგ-ბუქი“ ესპერტებმა, როგორი სისტემით და რომელ კურსების შემადგენლობაში აპირებს დაწესებულება მის განხორციელებას. მეორე კითხვა შეეხებოდა დარგობრივი სტანდარტის მიხედვით გაწერილ შედეგებს, კომპეტენციებს: ბოლო კომპეტენცია, პროფესიონალიზმი, რომელიც ახალ დარგობრივ სტანდარტშია და შესაბამისად, შედარებით ახალია სამედიცინო სფეროსთვის, ასახული იყო პროგრამის შედეგებში. ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს რაიმე გეგმა, ხედვა ამ კომპეტენციის შეფასებისთვის. მას ასევე კითხვა გაუჩნდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური გაცნობისას, პროგრამის შედეგების შეფასების დოკუმენტის ნახვის შემდეგ. საბჭოს წევრს შემდეგი შეკითხვა ამ კითხვის პასუხზე ექნებოდა აგებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნია თაბაგარმა პორტფოლიოსთან, Log-book-თან დაკავშირებით განმარტა, რომ ძალიან ბევრი სახის Log-book არსებობდა და რაც იმჟამად იყო, შეიძლება ისიც შეცვლილიყო და საერთოდ არ იყო პრობლემა. ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხი იყო პროფესიონალიზმის შეფასება. პროფესიონალიზმის შეფასება ეს არ იყო ადვილი თემა და თითოეული ქვეყანა თვითონ აყალიბებდა პროფესიონალიზმის ასპექტებს. ალბათ, ეს იყო ინსტიტუტის სამუშაოც და ეროვნულ დონეზეც სამუშაო. მათ ჰქონდათ რამოდენიმე გამოკითხვა გაკეთებული. როცა დარგობრივი დოკუმენტი შეიცვალა და პროფესიონალიზმის ახალი თავი ჩაემატა, კიდევ განიხილეს ეს საკითხი. პროგრამაა კომპლექსურია, ეს გამოწვეულია იმით, რომ სფეროა ასეთი.

საბჭოს წევრმა ეკა ეკალაძემ განმარტა, რომ რა თქმა უნდა, Log-book სხვადასხვანაირი არსებობს, თუმცა მისი კითხვა ეხებოდა დაწესებულების ხედვას log-book-ის გამოყენებასთან დაკავშირებით და მისი გამოყენების პრაქტიკულ კომპონენტს. მან ნახა რამდენიმე სილაბუსში ინფორმაცია Log-book-ზე, მაგრამ ვერცერთი დოკუმენტი ვერ ნახა პორტფოლიოზე. მისი მოსაზრებით, პროფესიონალიზმის შეფასებაში, ალბათ, პორტფოლიოს უნდა ჰქონოდა დიდი წილი.

ეკა ეკალაძის თქმით, შემდეგი კითხვა ეხებოდა სწავლების მეთოდოლოგიას. პროგრამაში ეწერა, რომ იყენებდნენ პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას, შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას, თუმცა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება მან სილაბუსებში ვერ ნახა. მას აინტერესებდა, პროგრამას რა რესურსი ჰქონდა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მოდელის განსახორციელებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა არ არის „Problem-based“, უბრალოდ, რამდენიმე საგანი შეიცავს ამ მოდელს. მათ არ ჰქონდათ პრეტენზია, მომავალში შეიძლება გამხდარიყო, რასაც არ გამოორიციხავდა, უბრალოდ მათთვის „case-based“ უფრო ადვილი იყო.

ეკა ეკალაძის შემდეგი შეკითხვა ჰქონდა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. სწავლის შედეგების რუქაში ნათლად იყო გაწერილი, რომელი საგანი რა დონეზე (1-გაცნობა, 2-გაღრმავება, 3-განმტკიცება) გავიდოდა ბოლოს. ასახსნელია შემდეგი: მაშინ, როცა რამდენიმე კომპეტენცია (მაგ. მე-6, 7, 8, 9 - ამთავრებდა 2-ით (გაღრმავება)), ისეთი ახალი და მართლაც საკმაოდ რთულად შესაფასებელი ბოლო კომპეტენცია - პროფესიონალიზმი მე-3 -განმტკიცების დონეზე გამომუშავდება. რა ედო ასეთ შეფასებას საფუძვლად და რა სისტემით ახდენენ პროფესიონალიზმის განტკიცების დონეზე გამომუშავებას, მაშნ როცა მაგალითად, ისეთი კომპეტენცია, როგორცაა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება (რომლის გამომუშავებაზე ზრუნვასაც პირველივე კურსიდან იწყებთ) - ავითარებენ მე-2 დონემდე. აქვე აღნიშნა, რომ გასაგებია, რომ მიკროსკოპის ყიდვა არაა პრობლემა, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ პროგრამა იყოს მზად, რომ დააკმაყოფილოს აკრედიტაციის სტანდარტები. პრობლემური იყო გაგება, როგორ გადის პროგრამა შედეგებზე.

ეკა ეკელაძემ ასევე კითხვა დასვა თუ როგორ ხორციელდებოდა კლინიკური აქტივობის შეფასება, რადგან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ეწერა, რომ შეფასება ხდებოდა ტესტებით, ღია კითხვებით, ქეისის და პრობლემის ანალიზით და არ ჩანდა, რომ პრაქტიკული კომპონენტის (რომელიც, მაგალითად, პაციენტთან ურთიერთობით მიიღწევა), შეფასება რამით ხდება. შესაძლოა, პრაქტიკული კომპონენტი (პაციენტთან ურთიერთობა) ნაწილობრივ, სილაბუსებში ხსენებულ პრობლემის ახსნასა ან ქეისის ანალიზში მოიაზრებოდა, ან კიდევ რაიმე დამატებითი დოკუმენტი აქვთ ამ საკითხის სარეგულაციოდ, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ამ საკითხის ანალიზის საშუალებას არ იძლეოდა.

ნია თაბაგარის თქმით, სწავლის შედეგების რუქაში გაწერა კიდევ ერთი პრობლემა იყო. განმტკიცება ისე არის აღნიშნული, რომ სამედიცინო დარგის სპეციალისტს სრულიად არ აკმაყოფილებს, რადგან ის, რაც დარგობრივ დოკუმენტში წერია, არის ყველა შესაძლო კომპეტენცია, რომელსაც ექიმი უნდა ფლობდეს, მაგრამ იქ არ არის ნათქვამი, რომ მზადდება ყველა იმ შესაძლებლობაში, რომ პოსტდიპლომურად შეძლოს განვითარება. მას ჭირდება სამაგისტრო პროგრამა, რომ ბიოქიმიკოსი გახდეს. ვერც ქირურგად ვერ მზადდება.

აკრედიტაციის ადგილობრივ ექსპერტს ჰქონდა რეპლიკა. კერძოდ, ექსპერტის თქმით დაწესებულებას ჰქონდა მოსაზრება, რომ თითქოს ექსპერტებმა ვერ შეაფასეს პროგრამა კარგად. ექსპერტებმა ნამდვილად ნახეს ბალნეოლოგიური კურორტის ბაზა, მაგრამ ისინი ბოლომდე ვერ ადასტურებდნენ, რომ ეს იყო ფასდაუდებელი ბაზა დიპლომირებული მედიკოსისთვის. მისი თქმით, კარგი იქნებოდა, თუ რამდენიმე უნივერსიტეტი ერთობლივად შეიმუშავებდა რამდენიმე პროგრამას, რისი პრაქტიკაც ნამდვილად არსებობდა. მისი თქმით, რა შრომაც იყო ჩადებული პროგრამის შემუშავებაში, აკადემიურმა პერსონალმა ვერ გამოავლინა ვიზიტის დროს. აქედან გამომდინარეობდა შეფასებებიც. ერთადერთი საკითხი, რაზედაც ექსპერტები ვერ შეთანხმდნენ, ანუ ქალბატონი ივანა თავის პოზიციაზე დარჩა, ეს იყო მიღების წინაპირობა. ცნობილი იყო, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ მოეთხოვებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ამ პროგრამაზე ჩასაბარებლად და უნივერსიტეტს ჰქონდა უფლება, ინგლისური ენის გამოცდა ჩაეტარებინა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მიზნების მიღწევა;
- ბ) გადამზადდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის განხორციელებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- გ) აკადემიური პერსონალის მიერ თითოეული კურსის სწავლის შედეგებზე მუშაობის დროს მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული დარგობრივ კომპეტენციებზე გასვლის შესაძლებლობა;
- დ) დიპლომირებული მედიკოსის შემოთავაზებულ პროგრამაში განათლების ხარისხის შესანარჩუნებლად რეკომენდებულია:
 - სტუდენტების ერთჯერადად მისაღები ნაკადის განსაზღვრისას ყურადღება მიექცეს პროგრამის რეალურად არსებულ რესურსს (როგორც ადამიანური რესურსის, ისე ინფრასტრუქტურის მხრივ);
 - ე) დაწესებულების ოფიციალური წერილობითი დოკუმენტები შესაბამისობაში მოვიდეს რეალობასთან. განისაზღვროს პროგრამის მთელი წლის დეტალური გრაფიკი, მათ შორის, მასწავლებლ(ებ)ის სახელ(ებ)ი, თითოეული ჯგუფის მოცულობა, დრო და ადგილი, სადაც ჩატარდება კონკრეტული სწავლება და სადაც დაიშვება ნებისმიერი სტუდენტი;
 - ვ) უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი გარემოებები (მაგ. სივრცე და აღჭურვილობა ლაბორატორიული მუშაობისათვის, პედაგოგის მიერ შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის ფლობა) სილაბუსებში აღწერილი უნარების გამომუშავების მიზნით;
 - ზ) უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის შესაბამისი სასწავლო მასალის, მაგალითად, სახელმძღვანელოების (ასლის ან ელექტრონული წიგნების სახით) ხელმისაწვდომობა მთელი პროგრამის მსვლელობისას. გაფართოვდეს და შენარჩუნდეს ონლაინ-მონაცემთა ბაზების პორტფოლიო;
 - თ) შემუშავდეს წესი სწავლის გაგრძელების/შეწყვეტისათვის იმ შემთხვევაში, თუ პრერეკვიზიტული სასწავლო კურსები არ იქნება დამაკმაყოფილებლად შესრულებული;
 - ი) შეიქმნას სათანადო ლაბორატორიები შესაბამისი ინფრასტრუქტურული აღჭურვილობით როგორც ძირითადი საგნების სწავლებისთვის, ისე ბაზისური და კლინიკური სამეცნიერო კვლევისთვის;
 - კ) გამოიყოს ბიუჯეტი სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისთვის;
 - ლ) სწავლებისა და სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მათ მიღწევის გზებთან;
 - მ) გაფართოვდეს იმ მოდულების/კურსების/საგნების სია, სადაც ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა შეფასების მეთოდად იქნება გამოყენებული და შეტანილი იქნას ეს ინფორმაცია შესაბამისი სილაბუსებში;
 - ნ) შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებით განსაზღვრული და ცხრილით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა;
 - ო) ხარისხის მართვის სისტემაში (QMS) აისახოს აფილირებული პერსონალთან დაკავშირებით რელევანტური ინფორმაცია, რომელთან წვდომაც აქვს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

პ) საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს პედაგოგიური პერსონალის რაოდენობა, რომელიც სრულ განაკვეთზე იმუშავებს. ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალისთვის შეიქმნას დაწესებულებაში სამუშაოდ მზადყოფნის წერილობითი დადასტურება, რომელშიც განსაზღვრული იქნება სამუშაო დატვირთვის პროცენტულობა. უზრუნველყოფილი იყოს სათანადო სწავლება და კლინიკური მომზადება. საჭიროა ზუსტი გაანგარიშება სრული განაკვეთის ექვივალენტის (FTE) გამოსათვლელად. როდესაც მედიცინის სკოლა დაასაქმებს მნიშვნელოვანი რაოდენობის ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალს, სასარგებლო იქნება მათი ნამუშევარი საათების კონვერტაცია სრული განაკვეთის ექვივალენტად სრული სურათის მისაღებად. რეკომენდებულია, რომ სრული განაკვეთის ექვივალენტი (FTE) განისაზღვროს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დასაწყისშივე და თითოეული სემესტრისთვის მოხდეს ხელახალი დაანგარიშება. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მოწვეული პერსონალისთვის, რომლისთვისაც მხოლოდ საკონტაქტო საათები ანგარიშდება, და, ასევე, აფილირებული პერსონალისთვის, რომლისთვისაც მხოლოდ სწავლებისთვის დათმობილი სათანადო საათების დაანგარიშება ხდება.

ჟ) გაიზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა კლინიკურ გარემოში მომუშავე თანამშრომლების ჩათვლით;

რ) დაიგეგმოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის პროცესი. მკაცრად შენარჩუნდეს სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა სწავლების თითოეული მეთოდისა და ტექნიკისთვის, სტუდენტებისა და მასწავლებლის განსაზღვრული თანაფარდობის გათვალისწინებით;

ს) დაწესებულებამ ფოკუსირება მოახდინოს სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე რეალურად და არა მხოლოდ დოკუმენტურად;

ტ) დაწესებულების მიერ საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისას მხედველობაში იქნას მიღებული მხოლოდ ის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ეკუთვნის შპს ადმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს;

უ) ნათლად განისაზღვროს ვალდებულებები და თანამშრომლობა ადამიანური რესურსების სამსახურსა, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტებს შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული და მეცნიერული განვითარების მიზნით;

ფ) მოხდეს პერსონალის მომზადების შესახებ არსებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის კატეგორიზაცია (მაგალითად, განათლება, სპეციალიზაცია და სხვა) და დროდადრო განახლდეს ისინი;

ქ) შეიქმნას სათანადო სივრცეები სტუდენტებისთვის (სასწავლო და სხვა დამატებითი საჭიროებისთვის) ყველა პრეკლინიკურ და კლინიკურ გარემოში;

ღ) განისაზღვროს საგამოცდო პროცესის მარეგულირებელი წესი და პროცედურები შესაბამისი რესურსების (მათ შორის, ადამიანური) გათვალისწინებით.

ყ) უზრუნველყოფილი იქნას OSCE-ის განხორციელებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული საკითხების (ჩატარების დრო, ადგილი, გამოყენებული მასალა, ფართი) დოკუმენტური სახით წარმოდგენა პარტნიორი დაწესებულების ოფიციალური დადასტურებით;

შ) ბიბლიოთეკა აღიჭურვოს რელევანტური სახელმძღვანელოებისა და ჟურნალების ადეკვატური რაოდენობით და სათანადო ელექტრონული მონაცემთა ბაზებით, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სრული ხანგრძლივობისთვის;

ჩ) ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და პროცესების განხორციელება თანმიმდევრულად შეესაბამებოდეს იმ სისტემების აღწერას, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის რეგულირებას; ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი კონცენტრირდეს პროგრამის განვითარების მექანიზმებზე;

ძ) პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის პროცესებმა (მაგ. პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავება/ცვლილებების განხორციელება, პროგრამის კომპონენტების განხორციელება, სტუდენტის შეფასების არსებული სისტემის ადეკვატურობა, სწავლა-სწავლების არსებული მეთოდების შესაბამისობა და სხვ) უნდა მიიღოს ოფიციალური სახე და უნდა გახდეს

სტრუქტურულიზებული, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის სისტემატური ჩართულობა პროგრამის განვითარებასა და მონაცემთა ანალიზში;

ბ) დიპლომირებული მედიკოსის ხარისხის როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად უნივერსიტეტმა გაწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა დამატებითი საერთაშორისო პარტნიორობის დასამყარებლად, რათა მიიღოს კონტექსტუალური რჩევა პროგრამის მიზნების მისაღწევად.


გადაწყვეტილება

- აკრედიტაციაზე უარი

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი უთხრა შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მესამე საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

